პრეს რელიზი

თარიღი: *25 თებერვალი 2020წ.*
კონტაქტი: **ირმა გოგოტიშვილი**
მარკეტინგის & კომუნიკაციების ლიდერი
PwC საქართველო
King David ბიზნეს ცენტრი, 7-ე სართული,
მ. ალექსიძის ქ. #12, თბილისი 0171, საქართველო
+995 32 2508050
irma.gogotishvili@pwc.com

გვერდების რ-ბა: *3*

PwC საქართველო ახალ მიმართულებას აანონსებს - ფინანსური თაღლითობის გამოვლენის საკონსულტაციო მომსახურება „Forensics“

PwC–ი საქართველოში კიდევ უფრო აძლიერებს თავის საკუნსულტაციო პრაქტიკას და ფინანსური თაღლითობის გამოვლენის მომსახურებას ამატებს.

თბილისი, 25 თებერვალი 2020წ. -- შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (PwC საქართველო) საკონსულტაციო დეპარტამნეტის ფარგლებში ნერგავს ახალ მომსახურებას და ნიშნავს **ანასტასია ანსვორტ-სმიტს,** უფროს მენეჯერს, ფინანსური თაღლითობის გამოვლენის მომსახურების ხელმძღვანელად.

ანასტასია, თავისი 12 წლიანი პროფესიული კარიერის განმავლობაში გარდა PwC რუსეთისა, მუშაობდა საკონსულტაციო ფირმების დიდ ოთხეულში (BIG4) აუდიტის მიმართულებით. ანასტასიამ 7 წელი დაჰყო ავტსრალიაში, სადაც მომსახურებას უწევდა სხადასხვა ინდუსტრიაში მომუშავე მსხვილ, მულტინაციონალურ კომპანიებს. მისი კლიენტები იყვნენ ნავთობპროდუქტების სფეროში მომუშავე ფირმები, ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნები, აზარტული თამაშების, საავტომობილო, ქიმიური, საზღვაო, სატყეო ბიზნესები და სოფლის მეურნეობის მიმარულებით მოღვაწე კომპანიები. იგი ასევე ჩართული იყო სახლემწიფო/საჯარო და არასამთავრობო ორგანიზეციების აუდიტორულ პროექტებში.

ანასტასიამ დაამთავრა ბონდის უნივერსიტეტი, გოლდ კოსტი, ავსტრალია, ბაკალავრის ხარისხით კომერციაში, სპეციალობით ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსები. ანასტასია არის საერთაშორისო სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის წევრი (ACCA, დიდი ბრიტანეთი).

რა არის ფინანსური თაღლითობის გამოვლენის მომსახურება ანუ Forensics?

დაიცავით თქვენი ბიზნესი და გაძლიერდით.
PwC–ის ფინანსური თაღლითობის გამოვლენის საკონსულტაციო მომსახურება (Forensic Services) ხელს უწყობს უკანონო ეკონომიკური ქმედებების / რისკების დროულად აღმოჩენას, დამოუკიდებელი მოკვლევის ჩატარებას და რისკების შემცირებას. თუ კომპანიები ეჭვობენ, რომ გაფლანგვასთან ან თაღლითობასთან აქვთ საქმე, უთანხოება აქვთ მომწოდებლებთან ან აქციონერებთან, PwC–ი დაგეხმარებათ ფაქტების დადგენასა და მტკიცებულებების მოპოვებაში.

თაღლითობის გამოვლენის საკონსულტაციო მომსახურება PwC-ის გლობალური "Forensic Services" ნაწილია. ჩვენი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ოფისებში მომუშავე გუნდები ფლობენ რეგიონალურ და გლობალურ გამოცდილებას კორპორატიული გამოძიებების, დავების და სასამართლო განხილვების, მათ შორის, ექსპერტთა მოსაზრებების და მტკიცებულებების მოპოვების მიმართულებებით. საქართველოში შექმნილ ამ საექსპერტო მიმართულების განვითარებას მხარ უჭერს საკმაოდ ძლიერი და გამოცდილი პროფესიონალებით დაკომპლექტებული რეგიონალური გუნდი, რომელშიც 20-ზე მეტი სრულ განაკვეთზე მომუშავე სპეციალისტია წარმოდგენილი. მათი ადგილობრივი გამოცდილება და რეგიონალური ცოდნა გავლენას იქონიებს გამოძიების სწორად წარმართვასა და დავების განხილვის პროცესებზე.

PwC საქართველოს ფინანსური თაღლითობის გამოვლენის საკონსულტაციო მომსახურებაში შედის:

- თაღლითობის გამოძიება და პრევენცია
- დავებისა და სამართალწარმოების უზრუნველყოფა
- კორპორატიული დაზვერვა
- შესაბამისობა (ანტიკორუფციული და ფულის გათეთრება (AML)
- მონაცემთა ანალიზი

დაინტერესების შემთხვევაში მოგვმართეთ:

სერგი კობახიძე, პარტნიორი
Sergi.kobakhidze@pwc.com

ანასტასია ანსვორტ-სმიტი, უფროსი მენეჯერი
Anastasia.g.ansvort-smit@pwc.com

PwC-ის შესახებ
PwC ის მიზანია საზოგადოებაში ნდობის მოპოვება და მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარება. ჩვენს ქსელში შემავალი ფირმები 157 ქვეყანაშია განთავსებული და მასში დასაქმებულია 276,000-ზე მეტი ადამიანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალხარისხიან

აუდიტორულ, საკონსულტაციო და საგადასახადო მომსახურებებს. დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ www.pwc.com

PwC-იმ თბილისში ოფისი გახსნა 2005 წელს. ჩვენ, შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (PwC საქართველო) ვმუშაობთ, რათა ჩვენი კლიენტები ადგილობრივ ბაზრებზე უფრო წარმატებულები და გლობალურად კონკურენტუნარიანები გავხადოთ. დღეს თბილისის ოფისში დასაქმებულია 120-ზე მეტი პროფესიონალი მათ შორის ორი ქართველი პარტნიორი. PwC საქართველოს შესახებ მეტი ინფორმაცია იხილეთ აქ www.pwc.com/ge

"PwC" წარმოადგენს ფრაისუოთერჰაუსკუპერს ინტერნეიშენალ ლიმიტედ-ის კომპანიების ქსელს, რომელთაგან თითოეული არის ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure.

© 2020 PwC საქართველო. ყველა უფლება დაცულია.